

# ინტერნეტის მიზნობრივი გამოყენების შესახებ მონაცემების შეგროვება, დამუშავება და ანალიზი

## ტექნიკური დავალება კვლევითი კომპანიისთვის

### შესავალი

- პროექტის დასახელება: Log-in Georgia
- დამკვეთი: ა(ა)იპ „ოუფენ ნეტი“
- ტექნიკური დავალების სათაური: ინტერნეტის მიზნობრივი გამოყენების შესახებ მონაცემების შეგროვება, დამუშავება და ანალიზი
- ანგარიშვალდებულება: მედიაწიგნიერების განვითარების დეპარტამენტი, კომუნიკაციების კომისია (ComCom)
- დავალების შესრულების ვადა: 20 კვირა, 2026 - 2027 წწ

### Log-in Georgia პროექტის აღწერა

#### პროექტის აღწერა

პროექტი Log-in Georgia საქართველოს მთავრობისა და მსოფლიო ბანკის თანადაფინანსებით ხორციელდება. პროექტის მიზანია საქართველოს სოფლის მოსახლეობის, საწარმოებისა და საჯარო დაწესებულებების მაღალი ხარისხის ფართოზოლოვან ინტერნეტთან დაკავშირება და ინტერნეტის მიზნობრივი გამოყენების ხელშეწყობა.

პროექტი მოიცავს შემდგომ კომპონენტებს:

**I კომპონენტი: ფართოზოლოვან ინტერნეტზე წვდომის გაზრდა** – ეს კომპონენტი ხელს უწყობს ფართოზოლოვან ინტერნეტზე წვდომის გაზრდას სოფლის ტიპის დასახლებებში საქართველოს მასშტაბით და ციფრული განვითარებისთვის ხელსაყრელი გარემო პირობების გაუმჯობესებას.

**II კომპონენტი: ფართოზოლოვანი ქსელის ციფრული სერვისებით სარგებლობის ხელშეწყობა** – ეს კომპონენტი ხელს უწყობს საქართველოს ციფრული ეკონომიკის განვითარებისთვის ხელსაყრელი გარემოს შექმნას და პროექტის სამიზნე დასახლებებში გაუმჯობესებული ინტერნეტისა და ციფრული სერვისების გამოყენების ხელშეწყობას.

**III კომპონენტი: პროექტის განხორციელების მხარდაჭერა** – პროექტის მართვასა და მასთან დაკავშირებული ღონისძიებების განხორციელება.

პროექტს ახორციელებს და ადმინისტრირებას უწევს არასამეწარმეო, არაკომერციული იურიდიული პირი - ოუფენ ნეტი, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ზედამხედველობითა და კომუნიკაციების კომისიის მონაწილეობით. პროექტის მეორე

კომპონენტის აქტივობებს ახორციელებს კომუნიკაციების კომისიის მედიაწიგნიერების განვითარების დეპარტამენტი.

### **კვლევითი დავალების წინაპირობა**

პროექტის მიზანია 700-მდე სოფლის, მათ შორის მაღალმთიანი დასახლებების, მაღალი ხარისხის და ხელმისაწვდომი მაღალსიჩქარიანი ინტერნეტ მომსახურებით დაკავშირება. პროექტის მიზანია სოფლად დასახლებული ფიზიკური პირების დახმარება, რომლებსაც არ აქვთ მაღალი ხარისხის, მაღალსიჩქარიანი ინტერნეტზე წვდომა. ფართოზოლოვანი ინფრასტრუქტურის დანერგვის დაწყებიდან, პროექტმა 400-ზე მეტი სამიზნე სოფლად დასახლებული პუნქტები დააკავშირა. ხოლო დაკავშირებული დასახლებების რაოდენობა თანდათან გაიზარდება და 2026 წლის ბოლოს 500-ს მიაღწევს, 2027 წლისთვის კი 700-ს.

სოფლად დასახლებულ პუნქტებში მაღალსიჩქარიანი ინტერნეტის დაფარვის გარზდასთან ერთად, პროექტის მიზანია ციფრული მხარდაჭერის პროგრამის (DAP) მეშვეობით ცნობიერების ამაღლება და ტრენინგების ჩატარება, ინტერნეტის მიზნობრივი გამოყენებისა და ციფრული ინკლუზიის ხელშეწყობის უზრუნველსაყოფა. პროგრამის სამიზნე აუდიტორიაა სკოლის პედაგოგები, მაღალი კლასების მოსწავლეები, მშობლები, მუნიციპალიტეტის მერიის თანამშრომლები, ადგილობრივი მეწარმე ქალები, 65+ ასაკის ბენეფიციარები, შშმ პირები და ეროვნული უმცირესობები. პროგრამის ფარგლებში, სამიზნე სოფლებსა და დასახლებულ პუნქტებში ადგილობრივი მოსახლეობისთვის ტარდება ორი თემატური ტრენინგი: 1. ციფრული წიგნიერება და 2. ინტერნეტის უსაფრთხო გამოყენება.

იქიდან გამომდინარე, რომ ციფრული მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში აქტივობები განკუთვნილია სამიზნე რეგიონის მოსახლეობისთვის, მნიშვნელოვანია თავად მოსახლეობის მონაწილეობა პროგრამის შემუშავების პროცესში. საგულისხმოა, რომ 2023 წელს კომუნიკაციების კომისიამ ჩაატარა მოსახლეობის ციფრული საჭიროებების შეფასების კვლევა შემდეგ საკითხებზე:

- ადგილობრივი მოსახლეობის ძირითადი ციფრული უნარების განვითარების საჭიროებების იდენტიფიცირება;
- მოსახლეობისთვის ძირითადი უნარებ-ჩვევების განვითარების სურვილი;
- ძირითადი ელექტრონული სერვისები, რომლებსაც ადგილობრივი მოსახლეობა იყენებს და სჭირდება;
- მოსახლეობისთვის სასარგებლო აპლიკაციების შესწავლა;
- შესაძლებლობების განვითარების პროგრამების საჭიროება;
- ინტერნეტის გამოყენების დადებითი და უარყოფითი ასპექტების შესახებ ცოდნის გაღრმავება;
- ციფრული სამყაროს შესახებ მოსახლეობის დამოკიდებულება და რისკების აღქმა.

მოსახლეობის ციფრული საჭიროებების კვლევა მოიცავდა როგორც რაოდენობრივ, ისე თვისებრივ კვლევას და ჩატარდა საქართველოს 5 სამიზნე რეგიონში: გურია, იმერეთი, სამეგრელო-ზემო სვანეთი, რაჭა-ლეჩხუმი-ქვემო სვანეთი და აჭარა. რაოდენობრივი კვლევა ფოკუსირდებოდა სოფლად ინტერნეტის გამოყენების კონკრეტულ საჭიროებებზე, პრობლემებსა და პერსპექტივებზე, ხოლო თვისებრივი კვლევა მოიცავდა სიღრმისეულ ინტერვიუებსა და ფოკუს ჯგუფებს (FGD).

### კვლევის დავალების მიზანი

დავალების მიზანია პროექტის მეორე კომპონენტის (*ფართოზოლოვანი ინტერნეტის მქონე ციფრული სერვისების გამოყენების ხელშეწყობა*) მონიტორინგისა და შეფასებისთვის მონაცემების შეგროვება, დამუშავება და ანალიზი. კერძოდ, პროექტის შეფასების ინდიკატორის - **მოსახლეობის მიერ ინტერნეტის მიზნობრივი გამოყენების შესწავლა და შეფასება**. პროექტის შედეგების ინდიკატორები მოცემულია ცხრილის სახით (დანართი 1).

### დავალების აღწერა

დავალება უნდა შესრულდეს კვლევის რაოდენობრივი და თვისებრივი მეთოდების გამოყენებით. მთავარი საკვლევი საკითხია: 1. რა კონკრეტული მიზნებისთვის იყენებენ ინტერნეტს პროექტის სამიზნე დასახლებებში მცხოვრები პირები; და 2. ინტერნეტის გამოყენებასთან დაკავშირებული ცვლილებების შეფასება პროექტის განხორციელების პერიოდში.

მეთოდოლოგია დაფუძნებული იქნება საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის (საქსტატი) კვლევაზე - *საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენება საქარმოებში*, ასევე, ევროკომისიის ციფრული ეკონომიკისა და საზოგადოების ინდექსის (DESI) ინსტრუმენტებზე.

სამუშაო განხორციელდება სამ ფაზად: ფაზა I. სამუშაო გეგმისა და მეთოდოლოგიის დიზაინის შემუშავება; ფაზა II. საველე სამუშაოები განხორციელება, მონაცემთა შეგროვება და ანალიზი; ფაზა III. კვლევის ანგარიშის მომზადება.

დავალებების დეტალები:

### რაოდენობრივი გამოკითხვა

- **მონაცემთა შეგროვების მეთოდი:** გამოკითხვა ჩატარდება CAPI მეთოდოლოგიის გამოყენებით. მონაცემთა შეგროვება განხორციელდება ადგილზე პირისპირი კარდაკარ ვიზიტების (D2D) მეთოდით, პლანშეტური (Tablet) კომპიუტერის გამოყენებით.
- **შერჩევის ტიპი:** მრავალსაფეხურიანი შემთხვევითი შერჩევა. შერჩევის ჩარჩოს უზრუნველყოფს ComCom-ი. იგი მოიცავს Log-in-Georgia პროექტის მიერ დაფარულ 700

დასახლებაში არსებულ ყველა ოჯახს. დასახლებები იყოფა აღწერის აღრიცხვის არეალებად (EA), რომლებიც პირველადი შერჩევის ერთეულებია - PSUs. შესაბამის ოჯახებს უნდა ჰყავდეთ მინიმუმ ერთი 14 წლის ან უფროსი მაცხოვრებელი. აღრიცხვის არეალები (EAs) სტრატეგიცირებულია 10 რეგიონის მიხედვით - გურია, იმერეთი, სამეგრელო-ზემო სვანეთი, რაჭა-ლეჩხუმი-ქვემო სვანეთი, აჭარა, სამცხე-ჯავახეთი, ქვემო ქართლი, შიდა ქართლი, მცხეთა-მთიანეთი და კახეთი - და ინტერვენციის ჯგუფების მიხედვით, რაც იძლევა 30-მდე სტრატას:

1. დასახლებები, სადაც ფართოზოლოვანი ინტერნეტინფრასტრუქტურა უკვე ხელმისაწვდომია;
2. დასახლებები, სადაც ფართოზოლოვანი ინტერნეტინფრასტრუქტურის მშენებლობა დაგეგმილია პროექტის მომდევნო ორი წლის განმავლობაში;
3. დასახლებები, რომლებიც არ იქნება დაკავშირებული მაღალსიჩქარიან ფართოზოლოვან ინტერნეტთან პროექტის ორი წლის განმავლობაში.
4. დასახლებები, რომლებიც დაკავშირებული იქნება ინტერნეტ ინფრასტრუქტურით ორი წლის განმავლობაში (2026-2027).

თუ ზოგიერთ რეგიონში ყველა ინტერვენციის ჯგუფს არ ეყოლება დასახლება, ზოგიერთი სტრატა შეიძლება იყოს ცარიელი, შესაბამისად, სტრატების რაოდენობა შეიძლება იყოს 30-ზე ნაკლები.

გამოკითხვა უნდა ჩატარდეს ორჯერ და ჰქონდეს პანელური სტრუქტურა.

- **შერჩევა:** სამიზნე დასახლებების მოსახლეობა 14+ ასაკი
- **შერჩევის ზომა:** შერჩევის ზომა უნდა იყოს რეპრეზენტატული რეგიონულ დონეზე (დაახლოებით 300-360 ოჯახი თითო რეგიონზე).
- **ასაკისა და სქესის ჯვარედინი განაწილება რეგიონის მიხედვით:** გამოკითხვაში მონაწილეობდნენ მამრობითი სქესის (48%) და მდედრობითი სქესის (52%) რესპონდენტები.
- **კვლევის გეოგრაფია:** პროექტის სამიზნე დასახლებები (სია მოწოდებული იქნება ComCom-ის მიერ)
- **გამოკითხვის შედეგები:** 95% სანდოობის დონე, 3%-იანი ცდომილების ზღვარი.

### თვისებრივი გამოკითხვა

თვისებრივი გამოკითხვა ითვალისწინებს მინიმუმ 5 (ხუთ) ფოკუს ჯგუფს (FGDs) შემდეგ სამიზნე ჯგუფთან:

- ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლები
- სასკოლო საზოგადოება (მასწავლებლები, მოსწავლეები, მშობლები)

- მცირე მეწარმეები, მათ შორის ქალი მეწარმეები
- შპს პირები
- ეთნიკური და ენობრივი უმცირესობის ჯგუფები

რესპონდენტთა რაოდენობა ერთ ფოკუს ჯგუფში 6-8, (2 სათადარიგო რესპონდენტი თითო ჯგუფზე), ხანგრძლივობა: 1.30 – 2.00 საათი.

### კვლევითი კომპანიის ვალდებულებები

კვლევითი კომპანიის პასუხისმგებლობაა პროექტის 3 (სამ) ეტაპად განხორციელება. პროექტის ეტაპები დეტალური აღწერა მოცემულია ქვემოთ:

#### I ეტაპი - სამუშაო გეგმა და მეთოდოლოგიის დიზაინი

- პროექტის პროტოკოლის (სამუშაო გეგმის) მომზადება, რომელიც მოიცავს ვადებსა და ლოჯისტიკას; ComCom-თან შეთანხმება და უკუკავშირის გათვალისწინება. პროექტის განხორციელების გეგმა უნდა ეფუძნებოდეს Log-In Georgia პროექტის დოკუმენტაციას და უნდა შეესაბამებოდეს პროექტის მოსალოდნელ შედეგებს.
- მონაცემთა შეგროვებისთვის დეტალური შერჩევის გეგმის და სტრატეგიის მომზადება. შერჩევის ზომა გამოითვლება სტანდარტული სტატისტიკური ფორმულის გამოყენებით; კვლევითი კომპანია მოამზადებს დეტალურ შერჩევის გეგმას პროექტით გათვალისწინებულ სამიზნე გეორგრაფიულ არეალზე დაყრდნობით.
- ComCom-ის მიერ მოწოდებული კვლევის მეთოდოლოგიის შესწავლა და მასზე დაფუძნებული კვლევის, როგორც რაოდენობრივი, ისე თვისებრივი ინსტრუმენტების შემუშავება, დამკვეთთან განხილვა და საჭიროებისამებრ ადაპტირება. მეთოდოლოგია ეფუძნება საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის (საქსტატი) კვლევას - საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენება საწარმოებში, ასევე, ევროკომისიის ციფრული ეკონომიკისა და საზოგადოების ინდექსის (DESI) ინსტრუმენტებს. საბოლოო ინსტრუმენტების შეთანხმება ComCom-თან:
  - CAPI მეთოდოლოგიის სკრიპტის მომზადება - რეკომენდებულია, რომ ინსტრუმენტების გასაუმჯობესებლად გამოყენებული იქნას საერთაშორისო საორიენტაციო მაჩვენებლები, როგორცაა DESI.
  - კვლევითი პასუხისმგებელი იქნება კითხვარის თარგმნაზე ქართულ, სომხურ და აზერბაიჯანულ ენებზე, რათა კვლევაში მონაწილეობა შეძლონ ეროვნულმა უმცირესობებმა. ასევე კომპიუტერის დახმარებით ჩატარებული პირადი ინტერვიუების (CAPI) ან პლანშეტის დახმარებით ჩატარებული პირადი ინტერვიუების (TAPI) ფორმატის მომზადება. თითოეული ინტერვიუს ხანგრძლივობა უნდა იყოს 20-დან 40 წუთამდე.

- კვლევითმა კომპანიამ უნდა უზრუნველყოს მაღალი ხარისხის მონაცემების სრული დაცვა, კონფიდენციალურობა და ანონიმურობა.
- საჭირო პროტოკოლების შემუშავება, რათა მონაწილეების რეკრუტირება, საჭიროების შემთხვევაში, შესაძლებელი იყოს განმეორებით კვლევებში (follow-up-ის).
- სავსე სამუშაოების დაწყებამდე, კვლევით კომპანიას მოეთხოვება კითხვარის პილოტირება (მინიმუმ 10 ინტერვიუ). ინსტრუმენტების პილოტირება უნდა მოხდეს რეალურ გარემოში და დაიდენტიფიცირდეს ნებისმიერი პროგრამული გამოწვევა. პილოტირების შედეგები (ანგარიშის სახით) მიეწოდება ComCom-ს.
- მონაცემთა შეგროვების პირველი კვირის დასრულების შემდეგ, ნედლი გაერთიანებული მონაცემთა ბაზები უნდა მიეწოდოს ComCom-ს ხარისხის შეფასებისთვის Stata, SPSS ან Excel ფორმატში. აუცილებელია აღინიშნოს, რომ მონაცემთა ხარისხსა და თანმიმდევრულობაზე პასუხისმგებლობა პირდაპირ ეკისრება კვლევით კომპანიას.
- ინტერვიუს პროცესის დროს, TAPI-სთვის პლანშეტებს ან CAPI-სთვის კომპიუტერებს უნდა ჰქონდეთ GPS ფუნქცია, რათა უზრუნველყოფილი იყოს შერჩევის სათანადო განაწილება. თითოეული ინტერვიუსთვის უნდა აღირიცხოს გეოკოორდინატები და თანმიმდევრულად უნდა შეგროვდეს კვლევის მნიშვნელოვანი მეტამონაცემები, როგორცაა დრო, თარიღი, ლოკაცია და ინტერვიუს ხანგრძლივობა. კვლევით კომპანიას ევალება თითოეულ ლოკაციაზე გამოკითხული ოჯახების რაოდენობის მონიტორინგი, ნებისმიერი უარის აღრიცხვა და აღნიშნული უარის მიზეზების დოკუმენტირება (მაგ., ცარიელი საცხოვრებელი ან ოჯახის წევრების არყოფნა).
- ინტერვიუერებისა და ფოკუს ჯგუფების ფასილიტატორების დაქირავება, რომლებსაც აქვთ გამოკითხვების ჩატარების სათანადო გამოცდილება და ფოკუს ჯგუფების მახასიათებლების ცოდნა;
- ინტერვიუერებისა და ფოკუს ჯგუფების ფასილიტატორების დატრენინგება კითხვარების ადმინისტრირებაში.
- კვლევითმა კომპანიამ უნდა შეადგინოს ყოვლისმომცველი გამოკითხვის სახელმძღვანელო ინტერვიუერისთვის მონაცემთა შეგროვების ფაზაში, სანამ მონაცემთა ფაქტობრივი შეგროვება დაიწყება და გაუზიაროს ComCom-ს.

## II ეტაპი - საველე სამუშაო, მონაცემთა შეგროვება და ანალიზი

### საველე სამუშაო

- რაოდენობრივი და თვისებრივი კვლევების ჩატარება პლანშეტების გამოყენებით, ციფრული მონაცემების შეგროვების, გეოგრაფიული მონიშვნისა და შედეგების GIS-თან თავსებადი ფორმატებით გამოყენების შესაძლებლობის უზრუნველსაყოფად.
- ComCom-ის ფოკუს ჯგუფების შეხვედრებზე დასწრების უზრუნველყოფა.
- ფოკუს ჯგუფების შედეგების ელექტრონულად დოკუმენტირება (ტრანსკრიპტები);
- ფოკუს ჯგუფების შეხვედრების ვიდეოჩანაწერები;
- ტექნიკური ანგარიშის წარდგენა ComCom-ისთვის, რომელშიც დეტალურად იქნება აღწერილი ფოკუს ჯგუფების შედეგები, არსებული გამოწვევები და სხვა მნიშვნელოვანი საკითხი;
- კვლევის ლოჯისტიკის მართვა, მათ შორის ტრანსპორტირება და მონაცემთა შემგროვებელი პერსონალის სხვა მხარდაჭერა; მასალების მიწოდება; სხვა საჭიროებები და მომსახურება;
- კონკრეტული ოჯახების ადგილმდებარეობის დასადგენად და გამოსაკვლევად კარტოგრაფიული ინფორმაციის, ზუსტი ადგილმდებარეობის და სხვა საიდენტიფიკაციო დეტალების მოპოვება;
- კვლევის განხორციელების დროს გეგმის მაქსიმალურად დაცვა პირობების შესაბამისად. თუ საველე პირობების ფონზე გეგმა მნიშვნელოვან ცვლილებებს მოითხოვს, კვლევითი კომპანია ვალდებულია აცნობოს ComCom-ს წერილობითი ანგარიშის ან პროგრესის ანგარიშის სახით.

### მონაცემთა შეგროვება

- მონაცემთა ხარისხის უზრუნველყოფა ისეთი მეთოდების მეშვეობით, როგორცაა, გამოკითხვის მონაცემების შემოწმება ანუ განმეორება; ყოველდღიურად, ინტერვიუერებისგან მიღებული მონაცემების თანმიმდევრულობისა და ხარისხის მონიტორინგი; კითხვარების მიმოხილვა სიზუსტის უზრუნველსაყოფად და გამოტოვებული მონაცემების (missing values) რაოდენობის მინიმუმაციის მიზნით; მონაცემთა შეგროვების პროგრესის შესახებ პერიოდული ანგარიშების შედგენა;
- ინტერვიუს ჩატარებამდე რესპონდენტების ვინაობის დაზუსტება და იმის უზრუნველყოფა, რომ დასრულებული გამოკითხვები და შეყვანილი მონაცემები შეესაბამება გამოკითხულთა პირად ინფორმაციას;

- ოქმის შედგენა იმის შესახებ, თუ ვინ შეირჩა კვლევისთვის და რომელ მონაწილეებთან მოხდა გასაუბრება, მაგრამ არ შეირჩნენ ინტერვიუსთვის (და რატომ);
- კვლევითი კომპანია პასუხისმგებელი იქნება მონაცემთა კონტროლზე: ტელეფონით კონტროლი (30%) და GPS კონტროლი (50%);
- ზედამხედველობისა და ადგილზე შემოწმების გეგმები მონაცემთა შეგროვების პროტოკოლების დაცვისა და კვლევითი კომპანიის მიერ მონაცემთა შეგროვების ხარისხის უზრუნველსაყოფად.
- კვლევის ფარგლებში, ადამიანებთან მუშაობის ეთიკური სახელმძღვანელო პრინციპების დაცვის უზრუნველყოფა, მათ შორის თითოეული რესპონდენტისთვის ინფორმირებული თანხმობის პროცედურების შემუშავება და დაცვა, ინდივიდუალური ინტერვიუების ჩატარება, რომლებიც კონფიდენციალურია და რესპონდენტთა პირადი მონაცემების კონფიდენციალურობის დაცვა.

### მონაცემების შეყვანა და მართვა

- კვლევითი კომპანია უზრუნველყოფს სისტემას, რომელიც მინიმუმამდე ამცირებს მონაცემთა გამეორების / გადაკოპირების შეცდომებს, რომლებიც გამოწვეულია არასწორი კოდირებით ან მონაცემთა არასწორი შეყვანით, როგორც მაგალითად დუბლირებული შეყვანა ან რეალურ დროში ვალიდაციის შემოწმება (real time validation checks);
- მონაცემების ისეთ ფორმატში შეყვანა, რომელსაც კითხულობს სტატისტიკური პროგრამები (ისეთები როგორცაა მაგ., Excel, STATA, SPSS ან SAS), შესაბამისი რესპონდენტთა უნიკალური იდენტიფიკატორებით.
- საბოლოო მონაცემთა ბაზების შედგენა და თანმიმდევრულობის შემოწმება. უზრუნველყოფა, რომ შეყვანილი მონაცემები სწორად არის კოდირებული - გამოტოვებული მონაცემების ჩათვლით;
- უზრუნველყოფილი იყოს მონაცემთა ბაზის შექმნა და შენახვა ისეთი ფორმით, რომ მესამე პირს არ შეეძლოს მონაცემებში კონკრეტული პირის იდენტიფიცირება; ამასთან, დამკვეთის მიერ, ინტერვიუების სრულყოფილად ჩატარების გადამოწმების მიზნით, მიწოდებულ იქნას დამატებითი მონაცემთა ბაზა.
- დაცული იყოს მონაცემების კონფიდენციალურობა მონაცემთა შეყვანის პროცესის დროს.

### მონაცემთა ანალიზი

მონაცემების ანალიზი და მონაცემთა ბაზის მომზადება - სტატისტიკური დამუშავება უნდა მოიცავდეს როგორც აღწერით, ასევე ინფერენციულ სტატისტიკურ ანალიზს.

### III ეტაპი - ანგარიშის მომზადება

საბოლოო ანგარიში უნდა შეიცავდეს როგორც თვისებრივი, ასევე რაოდენობრივი კვლევის შედეგებს და პასუხობდეს კვლევის კითხვებს. რაოდენობრივი კვლევის ანალიზი უნდა ეფუძნებოდეს აღწერით და დასკვნით სტატისტიკას, რაც იმას ნიშნავს, რომ შედეგები უნდა იყოს წარმოდგენილი სტანდარტული აკადემიური ფორმატით და მოიცავდეს შემდეგ სტატისტიკურ გამოთვლებს - სიხშირეები, პროცენტები, ცენტრალური ტენდენციის საზომების მონაცემები შესაბამისი ცვალებადობის საზომებით, ჯგუფთაშორის შედარებებს (*T-ტესტი, ANOVA ტესტი, Chi-Square, Mann Whitney u ტესტი და ა.შ.*), (ნაწილობრივი) კორელაციები და რეგრესია. **საბოლოო ანგარიშში მონაცემები და დასკვნები დამოუკიდებლად უნდა იყოს წარმოდგენილი თითოეული რეგიონისთვის და მოიცავდეს ჯგუფთაშორის დემოგრაფიულ შედარებას** (სქესი, სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა, ასაკი, განათლება და ა.შ.).

საბოლოო ანგარიში უნდა იყოს წარმოდგენილი ქართულ და ინგლისურ ენებზე Word-ის დოკუმენტში, ხოლო შეჯამება ძირითადი დასკვნებით - PPT ფორმატში. გამოკითხვის შედეგები ასევე უნდა იყოს წარმოდგენილი GIS-თან თავსებად ფორმატებში, რათა შესაძლებელი იყოს შემდგომი ანალიზი.

### მონაცემთა მართვა და ანგარიშგება

ძირითადი გუნდი, საველე სამუშაოების დროს, ჩაატარებს თანმიმდევრულ შემოწმებებს და შეაგროვებენ მონაცემებს შეცდომების შესახებ ანგარიშების შესაქმნელად, რაც მონაცემთა გაწმენდის საჭიროებას მინიმუმამდე დაიყვანს. თუმცა, კვლევითი კომპანია ინარჩუნებს პასუხისმგებლობას უხარვეზო, ყოვლისმომცველი მონაცემების მიწოდებაზე. ნებისმიერი ორაზროვანი ან გამოტოვებული პასუხები საჭიროებს ComCom-ისთვის ინფორმირებას.

უნდა მოხდეს მონაცემების სეგმენტირება ცალკეულ ინდივიდუალურ მოდულებად თითოეული ტიპის გამოკითხვისთვის (Stata, SPSS ან Excel ფორმატებში). ამასთან, მონაცემთა ნაკრები უნდა იყოს სტრუქტურირებული კოდირების სისტემის საფუძველზე შეუფერხებელი ანალიზისთვის. ყველა მონაცემთა ნაკრებს სჭირდება ინგლისური/აზერბაიჯანული/სომხური/ქართული დასათაურება.

### ხარისხის უზრუნველყოფა და კონტროლის მექანიზმი

კვლევა არ ჩაითვლება შესრულებულად და კვლევითი კომპანია ჩაითვლება ამ ხელშეკრულების პირობების დამრღვევად, თუ შემთხვევითი და რეპრეზენტატული შერჩევის საფუძველზე დადგინდა, რომ:

- კითხვარების 1% ან მეტი შევსებულია კვლევითი კომპანიის მიერ რესპონდენტებთან ოჯახში ვიზიტის გარეშე;

- ნაჩვენებია, რომ კითხვარების 1% ან მეტი არათანმიმდევრულად არის შევსებული.

ComCom-ი გამოიყენებს უფლებამოსილებას გადაამოწმოს ინტერვიუების 15-დან 30%-მდე დამოუკიდებლად (კვლევითი კომპანიის მიერ შესრულებული კონტროლის დამატებით). თუ გამოკითხვის მონაცემები არ არის აკმაყოფილებელი მოთხოვნების მონაცემთა მთლიანობის თვალსაზრისით, დამკვეთი იტოვებს უფლებას მოითხოვოს სამუშაოს განმეორება ან არ გადაიხადოს შესრულებული სამუშაოს ანაზღაურება (ანაზღაურდება ნებისმიერი საწყისი გადასახადი).

**სამუშაოს მოცულობის შესაბამისად, კვლევით კომპანიას მოეთხოვება ფინანსური წინადადების წარდგენა** (დანართით მოცემული ფორმით), რომელიც უნდა მოიცავდეს ყველა ხარჯს, მათ შორის მგზავრობისა და ლოჯისტიკის ხარჯებს.

### **გუნდის შემადგენლობა**

ძირითადად გუნდმა უნდა უზრუნველყოს კვლევის პროექტის მართვა და ხარისხი. პროექტის დავალება მოიცავს კვლევის განხორციელების სტრატეგიის და გეგმის შემუშავებას, კვლევის ინსტრუმენტების დახვეწას, სავლე მუშაკების დაქირავებასა და მომზადებას, ყოველდღიური კვლევითი საქმიანობის ხელმძღვანელობას, კვლევის ხარისხის ზედამხედველობას და ყოველკვირეული პროგრესის ანგარიშების წარდგენას. ძირითადი გუნდის წევრები უნდა შედგებოდნენ *კითხვარის დიზაინის ჩამოყალიბების სპეციალისტებისგან* (ექსპერტები, რომლებიც მუშაობენ კვლევის ინსტრუმენტების შემუშავებასა და დახვეწაში ოპტიმალური მონაცემთა შეგროვებისთვის), *ლინგვისტური ექსპერტებისგან* (ადგილობრივ ენებზე თავისუფლად მოსაუბრე გუნდის წევრები) და *სავლე ზედამხედველებისგან* (მენეჯერები, რომლებსაც აქვთ დამადასტურებელი გამოცდილება კვლევის პროცესებისა და გუნდების ზედამხედველობაში).

კომპანიის პასუხისმგებლობაა ყველა ლოჯისტიკური, ფინანსური და ადმინისტრაციული ასპექტი. მოვალეობები ამ კონტექსტის ქვეშ, მოიცავს სავლე მუშაკების დაქირავებას, მათი ანაზღაურების უზრუნველყოფას, ტრენინგების ლოჯისტიკისა და ტრანსპორტირების ორგანიზებას.

სავლე სამუშაო ჯგუფები ჩაატარებენ ინტერვიუებს, შეაგროვებენ მონაცემებს და წარმართავენ სავლე მონაცემების შეყვანას ბაზაში. აუცილებელია, რომ ყველა სავლე სამუშაო ჯგუფს ჰყავდეს მინიმუმ ერთი გამოცდილი ზედამხედველი, რომელიც უზრუნველყოფს ძირითად გუნდთან უწყვეტ კომუნიკაციას. სავლე სამუშაო ჯგუფის წევრები უნდა შედგებოდნენ ფიზიკურად დამსწრე CAPI/TAPI აღმრიცხველებისგან (ადგილობრივ ენებზე თავისუფლად მოსაუბრე გუნდის წევრები) და CATI აღმრიცხველებისგან/ოპერატორებისგან (კომპიუტერულად დამხმარე სატელეფონო ინტერვიუების სპეციალისტები, რომლებიც კარგად ფლობენ ადგილობრივ ენებს).

## საველე მუშაკების დატრენინგება

- ყოვლისმომცველი სასწავლო მიდგომა: საველე მუშაკებისთვის ტრენინგი უნდა მოიცავდეს როგორც საკლასო სწავლებას, ასევე პრაქტიკულ საველე გამოცდილებას, რათა უზრუნველყოფილი იყოს მონაცემთა შეგროვების მეთოდების ჰოლისტური გაგება და პრაქტიკული ცოდნა.
- აქცენტი მთლიანობაზე: საველე მუშაკებისთვის უმთავრესი ღირსება პატიოსნებაა. მონაცემების მთლიანობა დამოკიდებულია მის ავთენტურობაზე, რაც მას ფასდაუდებელს ხდის როგორც პოლიტიკის შემუშავებისთვის, ასევე კვლევითი საქმიანობისთვის. უმნიშვნელოვანესია, რომ საველე მუშაკებმა გაიგონ ნულოვანი ტოლერანტობის პოლიტიკა ნებისმიერი მონაცემებით მანიპულირების მიმართ. კეთილსინდისიერების მოლოდინი ხაზგასმული იქნება ტრენინგების დროს.
- ტრენინგის კოორდინაცია: ძირითადი გუნდი შეარჩევს საველე პრაქტიკისთვის შესაფერის ადგილს, შეიმუშავებს ტრენინგის გრაფიკს და გააკონტროლებს მონაწილეებს. ლოჯისტიკური თვალსაზრისით, კომპანია უზრუნველყოფს საჭირო ნებართვებს, ტრანსპორტირების ორგანიზებას, კვების უზრუნველყოფას (კერძოდ, სადილს) და მონაწილე ოჯახებს მადლიერების ნიშნად გადასცემს მცირე საჩუქარს.

## ხარისხის უზრუნველყოფის ზომები

კვლევითი კომპანიის პასუხისმგებლობა იქნება ყველა კვლევითი სამუშაოს უმაღლესი ხარისხის უზრუნველყოფა. დავალებები მოიცავს, როგორც ინტერვიუებისა და შეფასებების დაკვირვებას, ისე საველე სამუშაოების და მონაცემთა შეყვანის ზედამხედველობას. კერძოდ, ძირითადი გუნდის პასუხისმგებლობაა:

- ჩაატაროს რეგულარული ვიზიტები საველე სამუშაო გარემოს შესაფასებლად.
- განახორციელოს მოულოდნელი შემოწმებები. ეს გულისხმობს გარკვეული მონაწილეების ხელახლა ვიზიტს და კითხვარების ხელახლა შევსებას. როგორც ორიგინალური (თავდაპირველი), ასევე შემოწმებისთანავე მონაცემები წარდგენილი იქნება შედარებისთვის, რათა უზრუნველყოფილი იყოს მონაცემების სიზუსტე და თანმიმდევრულობა.
- უზრუნველყოს მონაცემთა მთლიანობა რეგულარული გადამოწმების გზით.
- საველე მუშაკებთან უწყვეტი უკუკავშირი კონსტრუქციული რჩევების, ქოუჩინგისა და მენტორობის შეთავაზებით, რაც უზრუნველყოფს საუკეთესო პრაქტიკის დანერგვას.

შეუსაბამობების შემთხვევაში:

- მონაცემების მანიპულირების ან გაყალბების შემთხვევის აღმოჩენის თანავე, ნებისმიერი ხელმძღვანელი ან სავლე მუშაკი, დაუყოვნებლივ გათავისუფლდება სამსახურიდან.
- ასეთ შემთხვევაში, სავლე მუშაკების შემცვლელი პირები ხელახლა გაესაუბრებიან ყველა რესპონდენტს, რომლებსაც თავდაპირველად გათავისუფლებული თანამშრომელი გაესაუბრა.
- ავთენტურობის უზრუნველსაყოფად, კომპანია წარმოადგენს გამოკითხვაში მონაწილე თითოეული სოფლის, ქუჩისა და ოჯახის ფოტომასალას.
- სავლე ხელმძღვანელებისგან მოსალოდნელია, რომ ხშირად მიაწოდონ განახლებული ინფორმაცია მათი პროგრესის შესახებ და ძირითად გუნდს მინიმუმ დღეში ერთხელ აცნობონ თავიანთი შესრულების შედეგები.

### ComCom-ის პასუხისმგებლობები

- პროექტის დაწყებამდე კვლევით კომპანიასთან მიზნის, სამუშაოს მოცულობის და ამოცანების განხილვა და სამუშაო გეგმაზე შეთანხმება;
- კვლევის ინსტრუმენტების ვალიდაცია;
- ბენეფიციართა შეფასების კრიტერიუმების უზრუნველყოფა/მიწოდება (ციფრული მხარდაჭერის პროგრამის ბენეფიციართა მონაცემთა ბაზა);
- გაიდისა და სამიზნე აუდიტორიის ვალიდაცია ფოკუს ჯგუფებისთვის (FGD);
- პროექტის სამიზნე მუნიციპალიტეტების და/ან დასახლებების სიის უზრუნველყოფა/მიწოდება;
- საბოლოო ანგარიშის და მისი შესაბამისობის ვალიდაცია ამ ტექნიკური დავალების მოთხოვნებთან.

## მოსალოდნელი შედეგები

ტექნიკური დავალების ფარგლებში კვლევითი კომპანია ჩაატარებს ორ (2) წლიურ გამოკითხვას 2026 და 2027 წლებში. დავალების შესრულების პერიოდი ჯამში 20 კვირას შეადგენს.

ცხრილის სახით მოცემულია პროექტის განხორციელების ეტაპები, მოსალოდნელი შედეგები და ვადები.

	შედეგები	ვადები
I	<ul style="list-style-type: none"> <li>• კვლევის პროტოკოლი (პროექტის განხორციელების გეგმა, ვადები და ა.შ.)</li> <li>• შერჩევის მეთოდოლოგია</li> <li>• მონაცემთა შეგროვების ლოჯისტიკური გეგმა</li> <li>• კვლევის ინსტრუმენტები</li> <li>• სომხურ და აზერბაიჯანულ ენებზე თარგმნილი კითხვარები</li> <li>• ფოკუს ჯგუფების გაიდები</li> <li>• პილოტირების ოქმი</li> <li>• ტრენინგი ინტერვიუერებისა და ფასილიტატორებისთვის ინტერვიუერებისთვის სახელმძღვანელო</li> </ul>	კონტრაქტის გაფორმებიდან 4 კვირაში
II	<p>(ა) ყოველკვირეული სავალდებულო სამუშაოების პროგრესის ანგარიშები და ნედლი მონაცემების მიწოდება, მათ შორის:</p> <ul style="list-style-type: none"> <li>• ტექნიკური ანგარიში, რომელიც მოიცავს როგორც შემთხვევითი, ასევე მიზნობრივი შერჩევისა და ინტერვიუების (გამოკითხვის) საკითხებს</li> <li>• ფოკუს ჯგუფების ვიდეო ჩანაწერები</li> <li>• ჩანაწერები (ტრანსკრიფტები) (ქართული, Word.docx)</li> </ul> <p>(ბ) შესწორებები/ჩასწორებები თანმიმდევრული შემოწმებების შედეგად</p> <ul style="list-style-type: none"> <li>• გაწმენდილი მონაცემთა ბაზა (SPSS, R, STATA, ან ეკვივალენტური პროგრამა სათაურებით (labels) ინგლისურ და ქართულ ენებზე</li> </ul>	6 კვირა
III	საბოლოო ანალიტიკური ანგარიში ქართულ და ინგლისურ ენებზე, Word-ის დოკუმენტის ფორმატში, კვლევის მიგნებების PPT ფორმატში პრეზენტაცია	2 კვირა

## გადახდის პირობა

პროექტის ღირებულების გადახდა განხორციელდება ეტაპობრივად, შესრულებული სამუშაოს მიღება/ჩაბარების აქტის საფუძველზე.

გადახდა	კონტრაქტის ჯამური %	აქტივობა/მიწოდებული პროდუქტი (Deliverable)
1	20%	პროექტის პირველი ეტაპით გათვალისწინებული დოკუმენტების მიღება/ჩაბარების შედეგად
2	40%	პროექტის მეორე და მესამე ეტაპებით (2026 წლის საბოლოო ანგარიში) გათვალისწინებული შედეგების მიღება/ჩაბარების საფუძველზე
3	40%	პროექტის მეორე და მესამე ეტაპებით (2027 წლის საბოლოო ანგარიში) გათვალისწინებული შედეგების მიღება/ჩაბარების საფუძველზე

## კონფიდენციალურობა და მონაცემთა დაცვა

კვლევის მიზნებისათვის შეგროვებული ყველა მონაცემისა და ინფორმაციის კონფიდენციალურობა მკაცრად იქნება დაცული და გამოყენებული მხოლოდ დავალების შესრულების მიზნით. ინტელექტუალური საკუთრების ყველა უფლება ეკუთვნის კომუნიკაციების კომისიას. წერილობითი მასალების შინაარსი, რომლებიც მიიღება და გამოიყენება ამ დავალების შესრულებისას, მესამე პირებს არ გადაეცემათ კომუნიკაციების კომისიის წერილობითი თანხმობის გარეშე.

დაცული იქნება საქართველოს კანონები კონფიდენციალურობის, საკუთრების და მონაცემთა დაცვის შესახებ.

## პრეტენდენტების კვალიფიკაციები

### საკვალიფიკაციო მოთხოვნები

პრეტენდენტებს უნდა ჰქონდეთ იურიდიული სტატუსი, რომელიც მათ საშუალებას აძლევს, განახორციელოს კვლევები საქართველოში.

პრეტენდენტი უნდა ფლობდეს შემდეგ კვალიფიკაციას:

- მინიმუმ 10 განხორციელებული რაოდენობრივი და თვისებრივი კვლევების პროექტი, მათ შორის სულ მცირე 5 საქართველოს მასშტაბით (რეგიონებში).
- კვლევითი გამოცდილება ინფორმაციული ტექნოლოგიების გამოყენების ან/და ციფრული უნარების შეფასების მიმართულებით.

- უნდა ჰქონდეს წვდომა გამოცდილი ინტერვიუერების, ზედამხედველებისა და მონაცემთა მენეჯერების კოჰორტაზე. კვლევითი კომპანიის შეთავაზებაში უნდა იყოს მითითებული მონაცემთა მენეჯერებისა და ინტერვიუერების მენეჯერების სახელები და მათი კონკრეტული პასუხისმგებლობები.

პრეტენდენტმა უნდა წარმოადგინოს საქართველოში შესრულებული დავალებისთვის რელევანტური კვლევითი პროექტის აღწერა და შეავსოს ქვემოთ მოცემული ცხრილი.

კვლევის სათაური (მაგ., მოზარდთა რეპროდუქციული ჯანმრთელობის კვლევა)	კვლევის მოსახლეობის მახასიათებლები (მაგ., ბიჭები & გოგონები 15-17 წლის)	სპონსორი სააგენტო (მაგ. World Bank)	ჩატარების თარიღი (მაგ., გაზაფხული 2022)
1)			
2)			
3)			

**ძირითადი გუნდის საჭირო კვალიფიკაციები**

კვლევით კომპანიას უნდა შეეძლოს ამ სამუშაოსთვის განკუთვნილი ექსპერტთა გუნდის მობილიზება კონტრაქტის მოქმედების პერიოდში. გუნდი უნდა შედგებოდეს მონაცემთა შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის გამოცდილების მქონე პირებისგან:

**საკვანძო როლები (Key Experts):**

- ჯგუფის ხელმძღვანელი/პროექტის მენეჯერი;
- პროექტის კოორდინატორი;
- მონაცემთა ანალიზის ექსპერტი;
- სტატისტიკოსი;
- სკრიპტის დამწერი;
- მონაცემთა გაწმენდის/ანალიზის სპეციალისტი;
- დარგობრივი ექსპერტი, რომელსაც უნდა შეეძლოს გუნდისთვის მხარდაჭერისა და დავალებების გაცემა კითხვარების გადახედვისა და მონაცემთა ანალიზის დროს.

*საყურადღებო: შესაძლებელია რომ ერთი თანამშრომელი ითავსებდეს რამდენიმე ფუნქციას.*

**დამხმარე გუნდი:**

- მონაცემთა შეგროვების მონიტორინგის სპეციალისტების საჭირო რაოდენობა;
- მინიმუმ 4 მოდერატორი;
- ინტერვიუების საჭირო რაოდენობა.

**საკვანძო გუნდის (Key Experts) CV უნდა მოიცავდეს:**

- კვლევით სფეროში მინიმუმ 5 წლიანი გამოცდილება;
- პროექტების მართვისა და კოორდინაციის გამოცდილება;
- დაინტერესებულ მხარესთან: სამთავრობო, კერძო და საერთაშორისო ორგანიზაციებთან მუშაობის გამოცდილება.

დანართი I

პროექტ „Log in Georgia-ს“ შედეგების ინდიკატორები

<b>I. პროექტის განვითარების მიზნის (Project Development Objective) ინდიკატორები</b>
პროექტის განვითარების მიზნის (PDO) შედეგი: ფართოზოლოვანი ინტერნეტზე დაფუძნებული ციფრული გამოყენების ხელშეწყობა
<b>ინდიკატორი</b>
<b>ინტერნეტთან დაკავშირებულ სასოფლო დასახლებებში პირების წილი, რომლებიც ინტერნეტს კონკრეტული მიზნებისთვის იყენებენ (პროცენტი)</b>
- ინტერნეტთან დაკავშირებულ სასოფლო დასახლებებში ქალების წილი, რომლებიც ინტერნეტს კონკრეტული მიზნებისთვის იყენებენ (პროცენტი)
- ინტერნეტთან დაკავშირებულ სასოფლო დასახლებებში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა წილი, რომლებიც ინტერნეტს კონკრეტული მიზნებისთვის იყენებენ (პროცენტი)
- ინტერნეტთან დაკავშირებულ სასოფლო დასახლებებში ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლების წილი, რომლებიც ინტერნეტს კონკრეტული მიზნებისთვის იყენებენ (პროცენტი)
- ინტერნეტთან დაკავშირებულ სასოფლო დასახლებებში 60 წელზე უფროსი ასაკის ადამიანების წილი, რომლებიც ინტერნეტს კონკრეტული მიზნებისთვის იყენებენ (პროცენტი)
- ინტერნეტთან დაკავშირებულ სასოფლო დასახლებებში საწარმოების წილი, რომლებიც ინტერნეტს კონკრეტული მიზნებისთვის იყენებენ (პროცენტი)
- ინტერნეტთან დაკავშირებულ სასოფლო დასახლებებში ქალთა საკუთრებაში მქონე საწარმოების წილი, რომლებიც ინტერნეტს კონკრეტული მიზნებისთვის იყენებენ (პროცენტი)
<b>II. შუალედური შედეგების ინდიკატორები</b>
პროექტის განვითარების მიზნის (PDO) შედეგი: ფართოზოლოვანი ინტერნეტზე დაფუძნებული ციფრული გამოყენების ხელშეწყობა
<b>ინდიკატორი</b>

<b>ციფრული მხარდაჭერის პროგრამაში (DAP) ჩართული დასახლებები (რაოდენობა)</b>
<b>გამოკითხული ბენეფიციარები, რომლებიც აცხადებენ, რომ ციფრული მხარდაჭერისა და ინკლუზიის პროგრამის აქტივობები პასუხობდა მათ საჭიროებებს (პროცენტი)</b>
- რომელთაგან ბენეფიციარები არიან ეთნიკური უმცირესობების წევრები (პროცენტი)
- რომელთაგან ბენეფიციარები არიან შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები (პროცენტი)
- რომელთაგან ბენეფიციარები არიან 60 წელზე უფროსი ასაკის პირები (პროცენტი)
<b>ინტერნეტთან დაკავშირებულ სასოფლო დასახლებებში ჩატარებული ტრენინგები (რაოდენობა)</b>
<b>ციფრული მხარდაჭერის და ინკლუზიის პროგრამის ფარგლებში გადამზადებული პირები (რაოდენობა)</b>
- რომელთაგან, არიან ქალები (პროცენტი)
- რომელთაგან, არიან შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები (რაოდენობა)
- რომელთაგან, არიან 60 წელზე უფროსი ასაკის პირები (რაოდენობა)
<b>ხელმისაწვდომი ტექნოლოგიებით უზრუნველყოფილი პირები, რომლებიც მონაწილეობენ ციფრული მხარდაჭერისა და ინკლუზიის პროგრამის ტრენინგებში (რაოდენობა)</b>